ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ნიკოლოზ ლატარიას ანგარიში

01.01.2019-31.10.2019

მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, საკრებულოს წევრებო, მივესალმები დამსწრე საზოგადოებას.

ანგარიშვალდებულება ამომრჩევლების წინაშე და საჯაროობის პრინციპის დაცვა, მე, როგორც საკრებულოს წევრს და ამავდროულად საკრებულოს თავმჯდომარეს, მავალდებულებს ყოველწლიური ანგარიში ჩაგაბაროთ გაწეული საქმიანობის შესახებ. კანონით ნაკისრი ეს ვალდებულება, საშუალებას გვაძლევს ამომრჩევლებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია საკრებულოს საქმიანობის თაობაზე.

ნდობის მაღალი მანდატი, რომელიც განპირობებულია საზოგადოებისა და საკრებულოს წევრების მხრიდან, ზრდის ჩემს პასუხისმგებლობას საქმისა და თითოეული ამომრჩევლის მიმართ. ჩემი საქმიანობის მთავარი მიმართულებაც გამოცხადებული ნდობის გამართლებაა.

ვინაიდან საკრებულოს თავმჯდომარე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ჩემს ანგარიშში ყურადღებას გავამახვილებ, საკრებულოს მიერ, საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთნებული საკითხების გადაწყვეტისათვის გაწეული საქმიანობის თაობაზე.

საკრებულოს თავმჯდომარე

საანგარიშო პერიოდში რეგლამენტითა და სხვა შესაბამისი კანონმდებლობით განსაზღვრული პროცედურების დაცვით ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ჩემი ხელმძღვანელობით ჩაატარა 10 საკრებულოს (8 რიგითი და 2 რიგგარეშე) და 10 ბიუროს სხდომა, მიღებულ იქნა 53 დადგენილება და 103 განკარგულება. ხოლო ჩემს მიერ, საანგარიშო პერიოდში გამოცემულია 156 ბრძანება.

მე, როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ყოველდღიურად საერთო ხელმძღვანელობას ვუწევ საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატისა და საკრებულოს თანამდებობის პირთა საქმიანობას, ამასთანავე რეგულარულად ვხვდები მოქალაქეებს.

ელექტრონულ დოკუმენტბრუნვის სიტემაში საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე სულ დარეგისტრირებული იქნა 749 კორესპონდენცია, შემოსული წერილები სხვადასხვა თემატიკისაა. განცხადებების უმრავლესობაში სოციალურად დაუცველი მოქალაქეები ითხოვენ სხვადასხვა სახის დახმარებას. ყველა მათგანზე შესაბამისი რეაგირება მოხდა კანონით დაცულ ვადებში და თითოეულ მოქალაქეს გაეწია სათანადო დახმარება.

აღნიშნულ პერიოში, როგორც საკრებულოს თავმჯდომარემ მონაწილეობა მივიღე 30-ზე მეტ სოციალურ და საქველმოქმედო ღონისძიებებში. თითოეულ აქტივობაში მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა მოსახლეობის საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას, ქვეყნისათვის თავდადებულ ადამიანების ხსოვნის პატივგებას, მომავალი თაობის მიერ მიღწეული წარმატებების წახალისებას. შეუძლებელია აქ ყველა იმ ღონისძიებაზე დეტალურად ისაუბრო, რასაც საკრებულო ანხორციელებს არაერთი შეჭირვებული თუ სხავადასხვა სფეროს ღვაწლმოსილ ადამიანთა დაფასების, მორალური თანადგომისა და მხარდაჭერის გამოსახატავად.

✓ სხდომები და მიღებული გადაწყვეტილებები

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 13 სხდომა, (რიგითი 10 -რიგგარეშე 3) ბიუროს 13 სხდომა. საერთო ჯამში, განვიხილეთ 156 საკითხი. მიღებული იქნა:

- 53 დადგენილება ;
- 103 განკარგულება.

მოგეხსენებათ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობაზე ორიენტირებული პროექტების შემუშავება და განხორციელება, სოციალური დახმარების სისტემის ეფექტურობა, სამუშაო ადგილების შექმნა, ახალგაზრდების მიგრაციის შემცირებით მათი პოტენციალის გამოყენება, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ახალგაზრდობა ქვეყნის განვითარებისათვს განსაკუთრებულ ფასეულობას წარმოადგენს. სწორედ ამიტომ ჩვენი მხრიდან დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათი უნარებისა და შესაძლებობების სწორ განვითარებას, რათა მათ შეძლონ თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი როლი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მოახდინონ საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზება.

აღნიშნული კურსის შენარჩუნებით საკრებულოში წარმატებით განხორციელდა შემდეგი პროექტები:

- ახალგაზრდული ინიციატივების კონკურსი;
- სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბი „თაობათა დიალოგი" ერთობლივი პროექტი;
- "ქუთაისის ახალგაზრდული საკრებულო";
- მემორანდუმების საფუძველზე საკრებულოში წარმატებით ხორციელდება სტუდენტთა პრაკტიკა.

რომელთა მიზანს დემოკრატიული პრინციპების და ღირებულებების დანერგვა, ახალგაზრდებში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა, თვითმმართველობის იდეის პოპულარიზაცია და გადაწყვეტილების პროცესში ჩართვა წარმოადგენდა.

თავმჯდომარის საკუთარი ინიციატივები

აქვე მინდა ყურადღება გავამახვილო უკვე ტრადიციად ქცეულ რამოდენიმე საქველმოქმედო ღონისძიებაზე, რომლებიც იმედს ვიტოვებ მომავალშიც გაგრძელდება. ესენია:

- საზოგადოებრივი მაუწყებლის ოპერატორისა და ფოტოგრაფის ხსოვნისადმი მიძღვნილ ღონისძიება;
- ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისათვის გამართული შეხვედრა;
- ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება;
- სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის საჩუქრებისა და სურსათით დახმარება;
- ეკონომიურად მძიმე მდგომარეობაში მყოფ, სტუდენტებისათვის სწავლების საფასურის დაფარვა;
- აგვისტოს ომის გმირის, სოფელ შინდისში დაღუპული ირაკლი ჯანელიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი პატივგების ღონისძიება;
- პროფესიული დღის მილოცვა და სამახსოვრო საჩუქრით ღვაწლის დაფასება, რომლის ობიექტი მიმდინარე წელს გახლდათ 85 წლის ალესანდრე შენგელია, იგი დღემდე აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა გამომცემლობებთან;
- ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა მიღწევების წახალისება--რომელიც ფარგლებში წელს მოეწყო შეხვედრა ბავშვთა საფეხბურთო კლუბ „ქუთაისის“-თან. საზღვარგარეთ მიღწეული წარმატების აღსანიშნავად გამართული ღონისძიება სამახსოვრო საჩუქრებითა და მადლობის სიგელის გადაცემით დაგვირგვინდა;
- და სხვა.

კომისიები

საკრებულოს ეფექტური ფუნქციონირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კომისიების აქტიურობა და გამართული მუშაობაა.

თითოეული გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ საკრებულოს სხდომაზე სამართლებლივი აქტის სახეს იღებს, მუშავდება სწორედ კომისიების მიერ, თავიანთი სფეროების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და შესაბამისი კომისიის დებულებით განსაზღვრული პროცედურების დაცვით.

ქუთაისის საკრებულოში ფუნქციონირებს 5 მუდმივმოქმედი კომისია, რომლებიც საკრებულოს ბიუროზე წარსადგენად სამუშაო გეგმის შესაბამისად შეიმუშავებს, განიხილავს და ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკრებულოს სხდომებზე განსახილველი სამართლებრივი აქტების პროექტებთან დაკავშირებით დასკვნების მომზადებას. ყოველდღიურ რეჟიმში აკონტროლებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა შესრულებას, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი მიმართულებების სტრუქტურული ერთეულების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობას, ისმენს მათ ანგარიშებს და საკრებულოს წარუდგენს შესაბამის დასკვნებსა და შეფასებებს.

საანგარიშო პერიოდში კომისიების მიერ ჩატარებული იქნა 71 სხდომა განხილული იქნა 255 საკითხი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში
01.01.2019-31.10.2019

კომისიების მიერ გაწეული სამუშაო

იურიდიულ საკითხთა კომისია

თავმჯდომარე
ვლასი გარდაფხაძე

ჩატარებული სხდომები
24

განხილული საკითხები
140

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისია

თავმჯდომარე
გიორგი ჭეიშვილი

ჩატარებული სხდომები
14

განხილული საკითხები
91

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია

თავმჯდომარე
კახაბერ ბოჭორიშვილი

ჩატარებული სხდომები
14

განხილული საკითხები
28

კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისია

თავმჯდომარე
ოთარ ლორთქიფანიძე

ჩატარებული სხდომები
5

განხილული საკითხები
9

ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა კომისია

თავმჯდომარე
მამუკა რიჟამაძე

ჩატარებული სხდომები
14

განხილული საკითხები
23

ფრაქციები

საკრებულოში შექმნილია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე ხუთი ფრაქცია, რომლებიც გამოხატავენ ფრაქციის ერთიან პოზიციას საკრებულოს სხდომებზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს ფრაქციის საქმიანობის საკითხებზე.



ბიუჯეტის ფორმირება, ზედამხედველობა და კონტროლი

აღსანიშნავია, რომ საკრებულოში როგორც თითოეული წევრის მხრიდან ასევე შესაბამისი კომისიებისა და ფრაქციების მიერ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მათ სფეროს მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით ბიუჯეტში გათვალისწინებული პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებას. ისინი ინიცირების წესით, აყენებენ წინადადებებს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ორგანოების წინაშე, ქალაქის ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების შესრულების მდგომარეობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგების შესახებ და სხვა.

ყოველივე ამან ხელი შეუწყო ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტების ჩამოყალიბებას. საყურადღებოა, რომ საკრებულოს და მერიის ძალისხმევით ადგილობრივ ბიუჯეტში სხვა მნიშვნელოვან პროგრამებთან ერთად გათვალისწინებული იქნა ისეთი პროგრამები როგორიცაა:

- სიცოცხლისთვის საშიში დაავადებების მქონე პირების სამედიცინო მომსახურება და დიაგნოსტიკა;
- ეპილეფსიით დაავადებულ პირთა ანტიკონვულსანტებით უზრუნველყოფა;
- ლეიკოზითა და სოლიდური სიმსივნის ფორმით დაავადებულ პირთა თანადგომა;
- მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება;
- შინ მოვლის პროგრამით სარგებლობა;
- შესაბამისი ბენეფიციარებისათვის უფასო მგზავრობის უზრუნველყოფა;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება;
- შშმ პირების მხარდაჭერა ორიენტირებული პროექტებით;
- მარტოხელა მშობელთა დახმარება;
- ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თანადგომა;
- დღის ცენტრის ბენეფიციარების დახმარება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების მხარდაჭერა;
- გზებისა და ტროტუარების სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება;
- ფასადების რეაბილიტაცია, სკვერების კეთილმოწყობა;
- საყრდენი კედლების მშენებლობა;
- საგანმანათლებლო და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება;
- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების, ეზოების, სახურავების, ლიფტების რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა;
- და სხვა

გენდერული თანასწორობის საბჭო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს საკრებულოში ქალთა წარმომადგენლობის გაზრდას, ამ ორგანოში წარმომადგენელი ქალების როლის გაძლიერებას, მათი უნარებისა და შესაძლებლობების, ლიდერ ქალთა გამოვლენასა და მათთვის მხარდაჭერას.

საბჭოს თავმჯდომარეობს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შენგელია

- შედგება 20 წევრისაგან: 4 მამაკაცი 16 ქალი
- საბჭოს თავმჯდომარე-მამაკაცი, საბჭოს მდივანი -ქალი
- 6 საკრებულოს წევრი, 3 მედიის წარმომადგენელი, 8 არასამთავრობო სექტორიდან
- საბჭოს წევრები არიან სხვადასხვა ფრაქციის, მათ შორის საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის წარმომადგენლები

საბჭოს თავის საქმიანობას ანხორციელებს, სამუშაო გეგმის შემუშავებისას გამოკვეთილი ოთხი ძირითადი მიზნის შესაბამისად.

ესენია:

- ✓ გენდერული საბჭოს ინსტიტუტის გაძლიერება;
- ✓ გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტის ფორმირება;
- ✓ განათლება და ცნობიერების ამაღლება;
- ✓ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო;

გენდერულმა საბჭომ საქმიანობის პროცესში ჩაატარა რამოდენიმე კამპანია და ღონისძიება მათ შორის;

- ადამიანის უფლებათა დღისადმი მიძღვნილი საინფორმაციო კამპანია;
- გენდერული თანასწორობის ძირითადი ტერმინებისა და საკვანძო საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლება;
- ღონიაძიება "ქალთა სათქმელი"
- შეიმუშავა საბიუჯეტო ინიციატივები;
- ინიცირების წესით მოახდინა მორიგე ბაღის დამატებისათვის ორგანიზაციული საკითხების მოგვარება;
- და სხვა

საკრებულოს წევრები

გარდა იმისა, რომ საკრებულოს წევრები კომისიებისა და ფრაქციების საქმიანობაში მონაწილეობენ, ზედამხედველობას ახორციელებენ საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისა და სხვადასხვა ინფრასტურქტურული პროექტების დროულ და ხარისხიან შესრულებაზე. აქტიურად ერთვებიან მოსახლეობის ყოფითი პრობლემების მოგვარებაში. ამასთანავე მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკრებულოს წევრებისა და თანამდებობის პირების მიერ მოქალაქეთა მიღების პრაქტიკა. საკრებულოს წევრებს აქვთ ყოველდღიური მიღება ქუთაისის საკრებულოში და ასევე ყოველკვირეული, ადმინისტრაციულ ერთეულებში მოქალაქეების მიღებისათვის გამოყოფილი განსაღვრული დრო, რის შესახებაც მოსახლეობა ინფორმირებულია.

პირადად მე, რეგულარულად ვხვდები მათ კვირის ნებისმიერ დღეს. თუმცა ოფიციალურად გამოყოფილი მაქვს ყოველი კვირის სამშაბათი, საანგარიშო პერიოდში სულ საკრებულოში დაშვებულია 1180 საშვი, აქედან ჩემთან მიღებაზე იმყოფებოდა 127 მოქალაქე, რომელთა მიერ დასმული საკითხები ძირითადად შეეხება სხვადასხვა დახმარების მიღებას. არცერთი მათგანის თხოვნა არ დარჩენილა ყურადღების გარეშე, თითოეული კანონით დაცულ ვადებში იქნება განხილული.

საკრებულოს წევრების მიერ, მოქალაქეებთან გარდა ყოველდღიური შეხვედრებისა მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ამომრჩევლებისათვის ანგარიშის წარდგენას. გაწეული საქმიანობის შესახებ, ამომრჩევლებთან ანგარიშის წარდგენისას, მნიშვნელობა ენიჭება ყველა იმ პროცედურის დაცვას , რომელიც ჩვენს მიერვე იქნა მიღებული მეტი გამჭვირვალობისა და საკრებულოს წევრების ამომრჩევლებთან შეხვედრების მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩასატარებლად.

მხარდაჭერილი პროექტები

მინდა ყურადღება გავამახვილო საკრებულოს სხდომებზე მხარდაჭერილ რამოდენიმე პროექტზე, რომლებსაც საციცოხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაქის განვითარებისა და კეთილდღეობისათვის.

✓ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ქუთაისის საერთაშორისო ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა მისი მრავალფუნქციონირებიდან და მაღალბიუჯეტიანი ინვესტიციიდან გამომდინარე ეს არის ყველაზე დიდი თუ არა, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პროექტი მაინც. ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი იქნება სამეცნიერო და სასწავლო სერვისების წამყვანი პროვაიდერი, სადაც სწავლის ხარისხი აღიარებული იქნება საერთაშორისო დონეზე. უნივერსიტეტი თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი სადაც საგანმანათლებლო პროცეს წარუძღვებიან, როგორც ადგილობრივი ასევე უცხოეთდან მოწვეული პერსონალი. უნივერსიტეტის ფუნქციონირება ქუთაისისათვის იქნება:

- ქუთაისისათვის ისტორიული მისიის, საგანმანათლებლო ფუნქციის დაბრუნება;
- ჭკვიანი კადრების გადინების შეჩერება;
- მომავლის პროფესიების დაუფლების შესაძლებლობა, რომელზედაც მოთხოვნა სწრაფი ტემპით იზრდება;
- სატრაანსპორტო სისტემის განვითარება;
- სასტუმროების ბიზნესის ხელშეწყობა;
- კვების მრეწველობის განვითარება;
- საუშაო ადგილების გაზრდა ;

ამჟამად მშენებლობაზე დასაქმებულია ასეულობით ადამიანი, მაგრამ როდესაც უნივერსიტეტი ფუნქციონირებას დაიწყებს აკადემიურ და მმართველობით ადმინისტრაციულ პოზიციაზე დასაქმების დიდი შანსი მიეცემათ ადგილობრივ მოსახლეობას.

ეს იქნება ქალაქი ქალაქში, რომლის არსებობა აუცილებლად მისცემს ბიძგს ზემოჩამოთვლილი სფეროების განვითარებას.

✓ მზის პანელების მწარმოებელი ქარხან

ქარხანაში 300 ადამინი დასაქმდება, რომლის პროდუქცია ევროპის ბაზარზე და ახლო აღმოსავლეთში გავა.

✓ ელექტრომობილების წარმოების ქარხანა

საკრებულოს მიერ საავტომობილო წარმოების ქარხნის განაშენიანების გეგმის პროექტის დამტკიცების შემდეგ, ახალი საავტომობილო ქარხნის მშენებლობა დაიწყო, რომელსაც ხელშეკრულებაში ვალდებულებად უწერია ადგილობრივი კადრის დასაქმება, საწარმოს სრულად დატვირთვის შემდეგ ინდუსტრიულ კომპლექსში დასაქმებულთა რაოდენობა 3000-ს მიაღწევს.

საჯარო ინფორმაცია

საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ შემოვიდა 35 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს 89 მოთხოვნა.

ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

- საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა;
- არ დაფიქსირებულა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ელექტრონული ფორმით მოძიებისა და პროაქტიულად გამოქვეყნების დარღვევის არცერთი ფაქტი.
- საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

მედია და სოც-ქსელები

გამჭვირვალობისა და ღიაობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს ის მნივნელოვანი მიღწევები, რომელთა წინაშეც დგას საკრებულო.

- ✓ საკრებულოს სხდომების პირდაპირი ეთერით ტრანსლირება;
- ✓ საკრებულოს სხდომების რადიო-ეთერით გადაცემა;
- ✓ მუნიციპალიტეტის აქტიური ოფიციალური ინტერნეტ გვერდი;
- ✓ საკრებულოს ოფიციალური ფეისბუქგვერდი;
- ✓ საკრებულოს წევრების შეხვედრა-ანგარიშები
- ✓ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტების აქტიური მონაწილეობა.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციები, რომლებიც ეხება საკრებულოს სხდომებს, ინფრასტრუქტურული პროექტების მინდინარეობას, მოსახლეობასთან შეხვედრებს, სოციალური პროგრამების განხორციელებას, საკრებულოს წევრების საქმიანობას.

საკრებულოს აპარატი

საკრებულოს გამართულ საქმიანობას და საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებაში ხელშეწყობას უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატი.

- აპარატმა დროულად უზრუნველყო სხვადასხვა ღონისძიებების მომზადება;
- საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციით, შემუშავდა თითოეული თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა, რის საფუძველზეც ხდება აპარატში დასაქმებულთა შეფასება;
- ელექტრონულ საქმისწარმოების სისტემაში შემოსული წერილები და კორესპონდენციები აღრიცხულია სათანადო წესის დაცვით ;
- დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება;
- საკრებულოსა და ბიურო სხდომების მომზადება ხდება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე;
- ხდება სამართლებრივი აქტების პროექტების მაღალპროფესიულ დონეზე რედაქტირება;
- დაცულია აქტების გამოცემისა და პროაქტიულად გამოქვეყნების ნორმები;
- კანონით დადგენილ წესით, მზადდება საკრებულოსა და საკრებულოს ბიუროს ოქმები;
- დაცულია საკრებულოს სხდომების მოწვევისა და მისი საჯაროდ გამოცხადების ვადები.

მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თითოეულ წევრს და აპარატს, ამ მეტად საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი სამუშაოს შესრულებისათვის. მე მჯერა, რომ ერთობლივი ძალისხმევით საკრებულო კიდევ უფრო ნაყოფიერად გააგრძელებს საქმიანობას, თავისი უფლებამოსილების განხორციელების კუთხით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე
ნიკოლოზ ლატარია
31.10.2019 წელი